

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის  
ოქმი N81

ქ.თბილისი

18 მაისი, 2021 წელი  
16<sup>00</sup>საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თევდორე ისაკაძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი

ლევან არველაძე

გიორგი ბირბიჩაძე

გულია გოცირიძე

ოთარ გრიგოლია

ლევან დავითაშვილი

ლევან დარახველიძე

გიორგი დოხტურიშვილი

ერეკლე კუხიანიძე

ანა ლაშხი

ზაზა მამალაძე

მიხეილ მესხი

თინათინ ნიბლოშვილი

შალვა ოგბაიძე

ვაჟა ოთარაშვილი

ლევან ჟორჯოლიანი

დათო რურუა

ნინო რუხაძე

რევაზ სოხაძე

დავით უთმელიძე

ბორია ფირცხელიანი

ვახტანგ შაქარიშვილი

გიორგი ჩაკვეტაძე

ავთანდილ ცინცაძე

ვლადიმერ ძნელაძე

ლევან ჯაფარიძე (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

ლევან ჯაფარიძე

ილია ჯიშკარიანი

ჯაბა ჯიშკარიანი

ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი ვიქტორ წილოსანი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ზაგაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ვახტანგ შაქარიშვილმა ისაუბრა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის განცხადებაზე, რომელიც ეხება კუს ტბის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმოებას კერძო მესაკუთრესთან და დაინტერესდა, „რატომ ცნობს ის უდესიანს, სააკაშვილის ზონდერს, რომელიც დღეს ქვეყნის გარედან აფინანსებს ამ ქვეყნის დესტაბილიზაციას, კუს ტბის ლეგიტიმურ მფლობელად“. მისი თქმით, ტრაგიკულად მოკლული ბესო ხარძიანის ოჯახს უდესიანთან აქვს სასამართლო დავა სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით და დაინტერესდა, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, მუნიციპალიტეტის მერის და „ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის მხრიდან უდესიანის კუს ტბის მესაკუთრედ აღიარება, ხელს ხომ არ შეუშლის სასამართლო პროცესს და უდესიანის მხარე ხომ არ გამოიყენებს არგუმენტად იმას, რომ ოფიციალური სტრუქტურა აღიარებს მას მესაკუთრედ. ვახტანგ შაქარიშვილმა აქვე განაცხადა, რომ საუბარია სამართლიანობაზე, ღირსებაზე და იმ დაპირებებზე, რომლითაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ქვეყნის ხელისუფლებაში და თხოვნით მიმართა კოლეგებს, სიღრმისეულად დაინტერესდნენ აღნიშნული საკითხით, რათა „დავიცვათ სამართლიანობა და ღირსება“.

რევაზ სოხაძე გამოეხმაურა ვახტანგ შაქარიშვილის განცხადებას და მოუწოდა მას, ყურადღებით მოუსმინოს ქალაქის მერის გამოსვლას, რადგან განცხადებაში საუბარი იყო არა კუს ტბის რეაბილიტაციაზე და ბიუჯეტის ფულის დახარჯვაზე, არამედ კუს ტბის კონცეფციის დამუშავებაზე. ხოლო, როდესაც საუბარია ღირსებაზე, არც ერთი ქალაქის ღირსეულმა მერმა არ უნდა მოითმინოს ის, რაც წლების განმავლობაში ხდება კუს ტბაზე. მისი თქმით, დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, კუს ტბა არის გასხვისებული და შესაბამისად, კერძო მესაკუთრის გარეშე, კონცეფციის შემუშავება იურიდიულად არ გამოვა. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რევაზ სოხაძემ ვახტანგ შაქარიშვილის განცხადებას „თავიდან ბოლომდე პოპულიზმი“ უწოდა, რადგან აღნიშნულმა არ შეიძლება სასამართლოზე მოახდინოს რაიმე ზეგავლენა. მისი თქმით, მუნიციპალიტეტი ემსახურება იმ ინტერესს, რომ კუს ტბის ტერიტორია შენარჩუნებული იქნას როგორც რეკრეაციულ სივრცე და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ვის საკუთრებაში იქნება ის.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ კუს ტბის ტერიტორიაზე დღეს არსებული მდგომარეობა ყველასთვის მიუღებელია და აუცილებელია კონცეფციის შემუშავება. რაც შეეხება კერძო მესაკუთრეს, კარგი იქნებოდა, აღნიშნული ტერიტორია საერთოდ არ გასხვისებულიყო, თუმცა გასხვისებულია და დღეს, არც საკრებულოს და არც ქალაქის მერის გადასაწყვეტი არ არის თუ ვინ იქნება მისი მესაკუთრე. ამას გადაწყვეტს სასამართლო და შესაბამისად, ნებისმიერი მესაკუთრე დაემორჩილება კუს ტბის განვითარების კონცეფციას. გიორგი ტყემალაძის თქმით, მუნიციპალიტეტს არ აქვს იმის დრო, დაელოდოს სასამართლოს გადაწყვეტილებას და უნდა გააკეთოს თავისი საქმე, ხოლო რაც შეეხება კუს ტბის კონცეფციის დამუშავებას, პროცესი წარმართება სამართლიანად და შეუძლებელი იქნება რაიმე სახის, თუნდაც ირიბი, ზეგავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ არ უსაუბრია იმაზე, რომ კუს ტბა არ უნდა განვითარდეს სწორად და არ უნდა იყოს შენარჩუნებული რეკრეაცია, მან ისაუბრა პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე და ის, რასაც რევაზ სოხაძემ „პოპულიზმი“ უწოდა, მისთვის არის სამართლიანობა, ღირსება და „ქართული ოცნების“ მთავარი დაპირება.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა ვახტანგ შაქარიშვილს, რომ ამ შემთხვევაში უკეთესი იქნება, გავმიჯნოთ პოლიტიკური თემატიკა და კუს ტბის კონცეფცია, რადგან, პოლიტიკის გაჩენა გადაწყვეტილებაში დააზიანებს იმ საქმეს, რაც ყველასთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი

2. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი

3. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135–135<sup>2</sup> მუხლებით, 135<sup>3</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 135<sup>4</sup> და 135<sup>5</sup> მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვიქტორ წილოსანი

4. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N24-28/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი, N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.068.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

5. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.047.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, მირზა გელოვანის III ჩიხი, N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.034.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, მირზა გელოვანის VII ჩიხი, N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.053.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, იუნკერთა ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.492.01.007; N81.01.06.492.01.007ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N72-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.056.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარედ არსებული 187 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.14.011.114) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ილიკო სუხიშვილის ქუჩა, N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.138.092.01.500; N01.20.01.138.092.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, ქუჩა შანდორ პეტეფი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.027.01.101) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა გორგასალი, N87-ში, მდებარე 92.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.129.059) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა გურამიშვილი N31, კორპუსი 6-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.123.024.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, მირზა გელოვანის VII ჩიხი, N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.053.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, ქუჩა საინგილოს N55-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.027.01.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, ტყვიავის ჩიხი N3-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.16.05.030.130.01.500; N01.16.05.030.130.01.501; N01.16.05.030.130.01.502; N01.16.05.030.130.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, მე-3 მასივის მე-8 კვარტლის კორპუსი N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.025.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში კორპუსი N1-ში და კორპუსი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისში, არსენ ოქროჯანაშვილის I შესახვევი N4-ში (საკადასტრო კოდი: N72.12.01.766.01.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქალაქ თბილისში, ლილო დასახლებაში, მე-4 კვარტლის კორპუსი N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.004.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში (ნაკვეთი 05/040, საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.040.01.501 და N01.19.19.005.040.01.021) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში 3-ში, მე-2 მიკრორაიონის კორპუსი N26-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.022.002.01.025) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „ქალაქ თბილისში, სადგურის ველის კორპუსი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.31.008.002.01.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

26. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლება 3-ში, კორპუსი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.024.006.01.107) მიმდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

27. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს სასაფლაოს მიმდებარედ არსებული 84 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.126) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

28. „ქ.თბილისში, დიდი დიღმის დასახლების მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული. N01.10.06.002.046 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 8118 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ენსი გრუპისათვის“ (ს/კ.: 405186365) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

29. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნაკვეთი 06/095; ქ.თბილისში, არჩილ მეფის ქ. N13-15-ის მიმდებარედ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ენსი დეველოპმენტისათვის“ (ს/კ.: 405385925) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

30. „N01.14.14.003.188 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1773 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სს „აქსის თაუერსისთვის“ (ს/კ.: 405077704) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 ივნისის N182 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

31. „ქალაქ თბილისში N01.14.10.002.084 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (მისამართი: ქ.თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N74, კუს ტბასა და ვაკის პარკს შორის, ილია ჭავჭავაძის გამზირი N76, კუს ტბის მიმდებარედ) არსებულ 221.97 კვ.მ. შენობა-ნაგებობაზე (შენობა-ნაგებობა N2 - 25.94 კვ.მ.; შენობა-ნაგებობა N10 - 120.89 კვ.მ.; შენობა-ნაგებობა N13 - 75.14 კვ.მ.) ეკატერინე იოსელიანისთვის (პ/ნ.: 01008011502) გადაცემული სარგებლობის უფლების (იჯარის) ვადაზე ადრე შეწყვეტასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

32. „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა N21-23-ის მიმდებარედ არსებული 1707 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.016.020) 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ველლ ჰაუზისთვის“ (ს/ნ.: 405156799) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის N65 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

33. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში (ს/კ.: N01.11.12.002.061.01.501) არსებული 469.73 კვ.მ. ფართიდან 170.56 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია“-სთვის (ს/კ.: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

34. „ქ.თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე, რკინიგზის სამედიცინო სამსახურის მიმდებარედ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ.: 01.13.07.021.097, ს/კ.: 01.13.07.021.096.) შპს „აევ“-ისთვის (ს/ნ.: 401996881) გადაცემული სარგებლობის უფლების (აღწაგობის) ქირის შეცვლისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „აევ“-ის (ს/ნ.: 401996881) გათავისუფლების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

35. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

36. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ვიქტორ წილოსანმა და აღნიშნა, რომ წლის ბოლოდან ქალაქში აღარ იქნება ყვითელი მიკროავტობუსები, რადგან ამ დროისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტი სრულად იქნება ჩანაცვლებული და პროექტით წარმოდგენილი ხელშეკრულება ეხება სწორედ ამ საკითხს. მისი თქმით, სატრანსპორტო კომპანიამ გამოისყიდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი 300 მიკროავტობუსი, რომლის სანაცვლოდ ისევ მოხდება 300 მიკროავტობუსის შეძენა, ხოლო კომპანია, საკუთარი სახსრებით, შეიძენს დამატებით 400 ახალ მიკროავტობუსს და ჯამში დედაქალაქს ეყოლება 1000 ახალი მიკროავტობუსი, რომელთაგან 780 ერთეული იმომრავებს შესაბამის სამარშრუტო ხაზებზე, ხოლო 220 ერთეული იქნება რეზერვში. მისი თქმით, მიკროავტობუსების ეს რაოდენობა არის ის მინიმუმი, რომელიც საჭიროა ქალაქისთვის, რადგან თბილისში მრავლად არის ისეთი ვიწრო ქუჩები, სადაც შეუძლებელია ავტობუსების გამტარუნარიანობა და ასევე, დიდია მგზავრთა ნაკადი თბილისისთვის შემოერთებული ტერიტორიებიდან. ვიქტორ წილოსანმა განმარტა, რომ დღემდე არსებული ბიზნეს-მოდელის მიხედვით, მიკროავტობუსის მძღოლებს ჰქონდათ კონკრეტული გეგმა, რომლის მიხედვითაც ვალდებული იყვნენ კომპანიისთვის გადაეხადათ თანხა და აქედან გამომდინარე, იყო რიგი პრობლემები მგზავრთა მომსახურებასთან დაკავშირებით, მათ შორის, კონდიციონერის ჩართვა, მგზავრის ფეხზე დადგომა, საგზაო უსაფრთხოების წესების დარღვევა და სხვა, რასაც გამორიცხავს პროექტით წარმოდგენილი მომსახურების მოდელი, რადგან კომპანიისთვის საფასურის ანაზღაურება მოხდება გავლილი კილომეტრაჟის და მგზავრთა რაოდენობის კონტროლის მიხედვით.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლების და გაუმჯობესების კუთხით, მნიშვნელოვანია ახალი მიკროავტობუსების შემოყვანა, რომლებიც ინტეგრირებული იქნება ერთიან სისტემაში და შესაბამისად იმოქმედებს ყველა არსებული სამგზავრო შეღავათი, რაც თავის მხრივ, დიდი შეღავათია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ყოველდღიურად სარგებლობენ მიკროავტობუსის მომსახურებით. აღსანიშნავია, ისიც, რომ მომსახურების ახალი მოდელის მიხედვით, მძღოლის ინტერესში აღარ იქნება რაც შეიძლება მეტი მგზავრის გადაყვანა და ისეთ მარშრუტებზე სიარული, სადაც მეტი ფინანსური ინტერესია, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობისთვის უფრო კომფორტულს გახდის მიკროავტობუსით მგზავრობას.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ წლის ბოლოს თბილისში აბსოლუტურად განახლებული იქნება როგორც ავტობუსების, ასევე მიკროავტობუსების პარკი და, უმეტესწილად, მეტროპოლიტენის მოძრავი შემადგენლობაც. მისი თქმით, თბილისის რელიეფიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მიკროავტობუსების არსებობა ქალაქში და 1000 ერთეული არის ის ოპტიმალური რაოდენობა, რომელიც, ამ ეტაპზე, სჭირდება თბილისს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

2. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში

გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ვიქტორ წილოსანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება ზემოთ ხსენებული ხელშეკრულების უზრუნველყოფას საბანკო გარანტიის სახით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135–135<sup>2</sup> მუხლებით, 135<sup>3</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 135<sup>4</sup> და 135<sup>5</sup> მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარო ქვიტორის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ვიქტორ წილოსანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება ვიდეოჯარიმების ავტომატურ რეჟიმში გაცვლას, ისევე, როგორც აქვს საპატრულო პოლიციას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა, N24-28/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი, N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.068.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 123 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1991 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.047.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 52 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1990 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, მირზა გელოვანის III ჩიხი, N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.034.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 73 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1999 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, მირზა გელოვანის VII ჩიხი, N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.053.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 76 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1992 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, იუნკერთა ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.492.01.007; N81.01.06.492.01.007ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 75 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1970 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N72-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.056.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 87 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2007 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 143 კვ.მ. ფართის გადაცემა ხუთი ოჯახისთვის, რომლებიც 1994-2000-2012 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარედ არსებული 187 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.14.011.114) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 187 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა ამხანაგობისთვის, შემდგომში კომპანია „GWP“-ს მიერ წყალსაქაჩის მოსაწყობად.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ილიკო სუხიშვილის ქუჩა, N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.138.092.01.500; N01.20.01.138.092.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 80 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2008 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, ქუჩა შანდორ პეტეფი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.027.01.101) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 14 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

